სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/121

ქ. თბილისი 19 ივლისი 2024 წ.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის და მისი სამდივნოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ-

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის, „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესახებ” დებულების მე-5 მუხლის შესაბამისად, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ ანზორ აბშილავას სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 19 ივლისის №01-05-02/21 სხდომის ოქმის საფუძველზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე 2024 წლის 5 ივლისს გამოცხადებული კონკურსით გათვალისწინებულ აკადემიურ თანამდებობაზე პერსონალის ასარჩევად შეიქმნას საკონკურსო კომისია და მისი სამდივნო შემდეგი შემადგენლობით:

- **საკონკურსო კომისია:**
  1. თალიკო ჟვანია- პროფესორი, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანი;
  2. დავით გორგიძე - პროფესორი, სტუ-ის საქმის წარმოების დეპარტამენტის უფროსი;
  3. ემილია ალავერდოვა - პროფესორი;
  4. ხათუნა მხეიძე - სტუ-ის ხარისხის სამსახურის უფროსის მოადგილე;
  5. ნონა გოგსაძე - სტუ-ს სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე.

- **საკონკურსო კომისიის სამდივნო:**
  1. მარიამ ასათიანი

2. დადგენილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და განთავსდეს უნივერსიტეტის მე-6 სასწავლო კორპუსში (კოსტავას,77) თვალსაჩინო ადგილას.

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**